საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №745

თბილისი „15" 07 2015 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დანიშვნისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N714[1] ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „მ" ქვეპუნქტების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის 2015 წლის 07 ივლისის N659985 წერილის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად, 4 წლის ვადით, დაინიშნონ:

ა) თამარ სანიკიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

ბ) გიორგი შარვაშიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

გ) მაია ცქიტიშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;

დ) ირაკლი ქარსელაძე - კომპანიის "Old City Development" დირექტორის მოადგილე;

ე) მზექალა შანიძე - პროფესორ-ემერიტუსი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

ვ) როჯერ ქაშმორი - პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფოს ატომური ენერგიის მმართველი სააგენტოს თავმჯდომარე, CERN-ის ყოფილი დირექტორი, გაერთიანებული სამეფო;

ზ) მარტ საარმა - პროფესორი, ჰელსინკის უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მოლეკულური ნეირომეცნიერებების ლაბორატორიის დირექტორი, ევროპული კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ფინეთი;

თ) მელიტა კოვაჩევიჩი - პროფესორი, ზაგრების უნივერსიტეტი, განათლებისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო სწავლების საბჭოს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე;

ი) ნილ მაკფარლეინი - ლესტერ ბ. პირსონის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, წმ. ენის კოლეჯის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრი, გაერთიანებული სამეფო;

კ) ზაალ (ზაზა) კოკაია - პროფესორი, ლუნდის უნივერსიტეტი, ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი, შვედეთი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის N714' ბრძანება;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თამარ სანიკიძე